№ 48 8 მარტი, ოთხშაბათი 1866—1878 8 მარტი, ოთხშაბათი № 48

ᲧᲝᲚᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲚᲘᲠᲘᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирасловის სახლში. № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амирасловის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Барешо მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲜ, როგორც მკითხველი შენიშნავდა, ჩვენ მხოლოდ მეორე და ხან მესამე დღეს ვბეჭდეედით ხოლმე Тფილისში მოსულს ტელეგრამმებს.

ᲓᲦᲔᲡ ჩვენ შევეკარით პირობით „ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოის" თფილისელ აგენტს, რომელიც ვალდებულია იმავე დროს გამოგვიგზავნოს ჩვენც ყოველგვარი ტელეგრამმები (პოლიტიკური და სავაჭრო), რა დროსაც Тფილისში მოვა ეს ტელეგრამმები და რა დროსაც სხვა აქაურ რედაქციებს ეგზავნება.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ საჭიროდ ვრაცხთ გამოუცხადოთ ჩვენს მკითხველებს (ახლანდელს და მომავალს), რომ **ᲓᲦᲔᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲨᲘ"** მუდამ თავის დროზე და სხვ aᲗფილისის გაზეთებთან ერთ-გვარად **ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ.**

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 3 მარტს. რუმინიამ გაუგზავნა ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებს ნოტა, რომელშიაც გამოაცხადა, რომ ის მხოლოთ ძალ-დატანებით დაუთმობს რუსეთს ბესარაბიას და არა ნებით; ეს საქმე მთელს ევროპას შეეხებაო, დობრუჯუ ბესარაბიას მაგიერობას ვერ იქს რუმინისთვისაო.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 5 მარტს. ᲑᲣᲨᲘᲜ ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა რეუფ-ფაშა, რომელსაც თან ახლდა თავის ამალი, სხვათა შორის შვილი შახირ-ბეი და სეკრეტარი ნიზა-ბეი. ᲓᲦᲔᲡ მორიგების პირობას უნდა მოაწერონ ხელი. ხვალ რეუფ-ფაშა ისევ სტამბოლში დაბრუნდება.

ᲕᲔᲜᲐ, 3 მარტს. დელეგაციებმა ნება რთვა მისცეს ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ მმართებლობას 60 მილიონი გულდენი დახარჯოს ხაზინიდამ ომის საჭიროებისათვის. ჰერცოგოვინაშნ ახალი ჯარები მიდიან ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 3 მარტს. საეჭეტ და საფულა-ფაშა ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ წავიდნენ კონრესზედ დასაწრებად ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მხრით Тესალიაში ხალხისა ჯანყება თან-და-თან ძლიერდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ ამ-ჟამად იმაზედ, რომ გასულს შაბათს სადღაც გაჭრა Тფილისის სინოდალნის კანტორის ხაზინადარი უფ. პიატროვსკი. Iმდროსაც გაჩხრიკეს ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲡ ხაზინა და აღმოჩნდა, რომ ოც-და-ათი ათასი მანეთი აღარ იყო. რაღა თქმა უნდა, რომ პირ-და-პირ ეჭვი იმ დაკარგულს ხაზინადარზედ არის აღებული. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ ეს პიატროვსკი ახალგაზდა, ყველასაგან პატივცემული, სარწმუნო, წესიერი კაცი იყოო და ამგვარ საქმეს იმისგან მით უფრო არ მოელოდნენო, რომ ცოლშვილიანი არისო. ხსენებულ 30, 000 მანეთიდამ ათი ათასი მანეთი ნახეს: სხვა პირის სახელობაზედ აღმოჩნდა ამ ჯამის ბილეთები Тფილისის სახელმწიფო ბანკის ᲑᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ დაგირავებული.

ᲛᲝᲓᲐᲓ შემოვიდა ამ უკანასკნელ დროს ბანკებისა და სხვა ხაზინადრებისაგან (კასსირებისაგან) თავიანთ ხაზინების გაცარცვა და გაქცევა, და რად გაგიკვირდებათ, რომ Тფილისის ხაზინადარიც სხვებს უკან არ ჩამორჩა ამ შემთხვევაში...

*** მეორე საგანი, რომელმანც ამაზე ნაკლებათ არ აალაპარაკა ჩვენი ქალაქი, გახლავთ Тფილისში კარგად ცნობილის ადვოკატის უ. პლიუსჩევსკის დატუსაღება შინაურულად. ᲐᲛ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲡ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲔᲜ, რომ ორს Тფილისის მდიდარს ეაჭარს, რომელთაც რაღაც ანდერძის თაობაზე სასამართლოში საქმე ჰქონდათ, გამოტყვილა რამდენჯერმე ფულები, ეითომ იმისთვის, რომ პროკურორსა და მოსამართლეებს უნდა მივცე ქრთამათაო. ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲫᲦᲘᲔᲑᲐ ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ, როგორც შეეტყეთ, გამომძიებელს უფ. ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔᲡ აქვს მინდობილი.

*** სოლოლაკის (ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲘᲡᲐ და სხვა ქუქების) მცხოვრებლები უჩივიან სიბინძურესა. მთელი აქაური ქუჩები ნაგავით და სხვა სიმყრალით სავსეაო, დახოცილი ძაღლები და კატები ჰყრიან და ყველა ამათგან ისეთნაირად არის ეს უბანი აყროლებული, რომ, უეჭველია, ამ ზაფხულში, თუ არ გაწმინდეს აქაურობა, რამე ჭირი და ავათმყოფობა გაჩნდებაო.

*** მშვენიერი დღეები დადგა ჩვენს ქალაქში. სალამოობით, მართალია, ცოტა არ იყოს გრილა; მაგრამ, მაგიერად, დღისით მზეზედ კი ისეთნაირი ტკბილი და სასიამოვნო სითბოა, რომ ხალხი უპალტოოთ დაიარება ქუჩებში...

*** ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲓᲐᲛ გვწერენ, რომ ეს პატარა ქალაქი თან-და-თან შნოიანდება და იზრდებაო. Тავიდამვე უწყლობა აწუხებდა და ახლა, უეზდის უფროსის მეცადინეობით, ჩინებული ჭაუზი გააკეთეს, რომელშიაც ძალიან კარგი წყალი გამოდისო. სახლები შენდება, დუქნები და მაღაზიები იმართებაო და სხვ.

Д. ᲩᲥᲝᲢᲣᲐᲡ ᲒᲐᲛᲢᲧᲣᲕᲜᲔᲑᲐ

Тმელი კვირის განმავალობაში, 27 თებერვლიდამ დაწყობული ვიდრე მარტის 6-მდინ, თითქმის მთელი ქალაქის საზოგადოება Тფილისის ᲝᲚᲥᲘᲡ სასამართლოს კარზედ იყო მოგროვილი. სასამართლოს ზალაში შესვლის მსურველნი ათასობით იყვნენ; ბილეთები კი სამასზე მეტი არ ყოფილა. ᲓᲦᲔᲚᲘᲓᲐᲛ საღამომდინ არ გამოდიოდნენ ზალიდამ ის ბედნიერნი, განსაკუთრებით ქალები, რომელთაც ბილეთი ეშოვნათ და ამ საქმის გარჩევაზე ესწრებოდნენ. ᲑᲔᲕᲠᲡ შიმშილით გული მისდიოდა; ერთ სტაქან წყალში „ნახევარ სამეფოს" იძლეოდნენ; ბევრი, რომელნიც წყნარ, წესიერ ცხოვრებას, მუდამ თავის დროზე სადილის მირთმევას იყვნენ დაჩვეულნი, ერთი კვირის განმავალობაში ან სრულებით არ გიახლებოდნენ არაფერსა, ან მარტო ᲫᲔᲚᲑᲔᲠᲘᲡ „პირაქკებით" კმაყოფილდებოდნენ...

ᲐᲛᲐᲡ წინათაც ვთქვით—თუ რატომ იყო საზოგადოებაში აღძრული ამისთანა უჩვეულებრივი ინტერესი ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲡᲙᲘᲡ ქალის მკვლელობის საქმისადმი ᲧᲕᲔᲚᲐᲡ უნდოდა შეეტყო—თუ მართლა. თუ ნამდვილად ამ უმაღლესს სწავლ, მიღებულს ყმაწვილ კაცს ჩაუდენია ეა საძაგელი საქმე; ყველას ჰსურდა შეეხედა ბრალდებულისათვის და იმეი სახეზედ, იმის თვალებში ამოეკითხა—შეეძლო იმას ამ ბარბაროსული საქმის ჩადენა, თუ არა?

ᲐᲛ ერთი კვირის განმავლობაში ორი კაცი ისე ერთი მეორეს არ შეხვდებოდა, რომ უეჭველად ერთიერთმანეთისათვის არ ეკითხათ:

— როგორ მიდის საქმე?

— მოწმეებმა რა აჩვენეს?

— შენი ჰაზრი რა არის?

— როგორ გგონია— გაამტყუნებენ, თუ არა?

— ᲒᲐᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲔᲜ!

— ᲐᲠ ᲒᲐᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲔᲜ! და სხვ. და სხვ.

და მუდამ დღე, ყოველ ჟამს ამ გვარი კითხვა-მიგება, ამგვარი მუსაიფი, ამაზედ ბაასი...

ᲛᲘᲠᲘᲗᲘ დღე გამამტყუნებელი აქტის წაკითხვას და მოწმების დაფიცებას მოუნდა სასამართლო; ოთხი დღე მოწმების ჩვენების ჩამორთმევას, ორი დღე პროკურორისა და ადვოკატების სიტყვების მოსმენას და განაჩენის დადგენას.

რაც უფრო ახლოვდებოდა განაჩენის დადგენის დრო, ეით უფრო თან-დათან ემატებოდა საზოგადოებას ინტერესი.

საზოგადოება სამად იყო გაყოფილი:

მცირე ნაწილს შეადგენდნენ ისინი ვინც ამტკიცებდნენ, რომ ᲩᲥᲝᲢᲣᲔᲑᲘ ამ საქმეში სრულიად დანაშაულნი არ არიანო, უეჭველია, რომ Ნ. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲡᲙᲘᲡᲐ მოკლულია, მაგრამ იმათ ამაში ბრალი არა აქვთო.

ᲐᲛᲐᲖᲔ უფრო მცირე ნაწილი ამტკიცებდა, რომ Ნ. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲡᲙᲘᲡᲐ ბანაობდა და იმ დროს დაიღრჩვაო.

მომეტებული კი დარწმუნებით ამბობდა, რომ იმას არ უბანია; წააღვრჩვეს, წააღვრჩვეს შინაურებმა, ᲩᲥᲝᲢᲣᲔᲑᲘᲗᲐᲝ!

ᲧᲕᲔᲚᲐ ერთად კი, მთელი საზოგადოება შებრალებით და თითქოს რაღაცნაირის თანაგრძნობით შესცქეროდა ბრალდებულებს. შესანიშნავია: სანამ ესენი სასამართლოში არ მოიყვანეს და ბრალდებულთ სკამზედ არ დასვეს, და განსაკუთრებით პირველად, როცა ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲡᲙᲘᲡ ქალი განჰქრა, ყველანი ისეთის გაბრაზებით ლაპარაკობდნენ ᲩᲥᲝᲢᲣᲔᲑᲖᲔ, რომ გეგონებოდათ, ხელში რომ ჩაუვარდეს ისინი საზოგადოებას, ვაგლეჯენო.

და ახლა კი, როდესაც სასამართლო თავის საქმეს შეუდგა, როცა ესევე ბრალდებულნი წარდგნენ სამართლისა და საზოგადოების წინაშე, ეს ბრაზი ამავე საზოგადოებისა, როგორც ზევით მოგახსენეთ, შებრალებად, თითქმის თანაგრძნობად შეიცვალა. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ქალები... თვალებზედ ცრემლი მოსდიოდათ, როცა ბრალდებულებს ხედავდნენ.

ᲘᲡᲘᲜᲘ სხედან თავიანთ სკამებზე. ᲔᲠᲗᲘᲡ შეხედვით, იმათ თითქო არა აწუხებს-რა, თითქოს აქ არა ხდება-რა ისეთი, რომელიც იმათ შეეხებაო. Დ. ᲩᲥᲝᲢᲣᲐᲡ თითქმის ერთხელაც არ მოუბრუნებია საზოგადოებისაკენ პირი, სულ მოსამართლეებისკენ იყურება; უცროსი ძმა იქითაც იყურება, აქეთაც, წყნარის, მშვიდობიანის სახით; მხოლოთ პეტრე ᲒᲐᲑᲘᲡᲝᲜᲘᲐᲡ შეატყობთ თვალებში რაღაც მოუსვენრობას, რაღაც აწუხებს...

მაგრამ ამ ორ ძმათ მაშინ ეტყობათ მღელვარება, მაშინ ეტყობათ, რომ ეს ამათი მშვიდობიანობა გარეგანი მშვიდობიანობაა და გულში კი ჯოჯოხეთი აქვთ, როცა ხმის აძოღება დასჭირდებათ ხოლმე, როცა რამე უნდა სთქვან. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ Დ. ᲩᲥᲝᲢᲣᲐᲡ სულ უცახცახობს ხმა, ორი სიტყვა ერთმანეთზე ვერ მოუბამს, ენა ებმება და ტუჩები უთრთიან მომეტებულის მღელვარებისაგან...

ᲐᲛᲐᲗᲘ ადვოკატები კი გულ-დამშვიდებით არხეინად არიან. Თ. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ გულ-წრფელად დარწმუნებულია თავის კლიენტების უმანკოებაზედ.

— შეუძლებელია, რომ სასამართლომ ისინი გაამტყუნოსო! ამბობს ის.

ᲣᲤ. ᲢᲘᲮᲐᲛᲘᲠᲝᲕᲘ (Პ. ᲒᲐᲑᲘᲡᲝᲜᲘᲐᲡ დამცველი) მუდამ მხიარულია, მუდამ მასხარობს; ერთი შეხედვით გეგონებათ, რომ ის ერთობ გულ-გრილად უყურებს თავის მოვალეობასაო. მაგრამ თავის სიტყვის წარმოთქმის დროს დაამტკიცა, რომ ეს გულ-გრილობა გარეგანი გულ-გრილობაა, რომ ის მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ საქმეში, რომ იმას მკრძნობიარე გული აქვს....

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲘᲡ (დოქტორების) ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲛ მოსწყვიტა წელი ყველა იმათ, ვისაც ბრალდებულების თანაგრძნობ. ᲰᲥᲝᲜᲓᲐ: როგორც ორი და ორი ოთხია, ისე დამტკიცეს იმათ, რომ Ნ. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲡᲙᲘᲡᲐ ჯერ წამღრჩვალიაო და მერმე ქალაქს გარეთ წაღებული და წყალში ჩაგდებულიო.

— ᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲐᲠ ᲣᲑᲐᲜᲘᲐ, ᲗᲣ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲬᲐᲛᲦᲠᲩᲕᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ, ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲔᲡ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡᲝ! ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ.

ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘ— ᲮᲐᲚᲐᲓᲝᲕᲡᲙᲘ — ᲯᲔᲠ ᲡᲣᲚ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲐ, 30-ᲬᲚᲘᲡ ᲗᲣ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲭᲙᲣᲐ, ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ ᲐᲥᲕᲡ.

ᲘᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲐᲩᲐᲠᲔᲑᲘᲗ: ᲔᲜᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲣᲡᲬᲠᲘᲠᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲡ ᲰᲐᲖᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲢᲕᲘᲜᲘ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲐᲠ ᲣᲛᲚᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲘᲛᲘᲡ ᲚᲝᲒᲘᲙᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲛᲐᲮᲕᲘᲚ-ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ. ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲪᲛᲣᲚᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲰᲐᲖᲠᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲓᲒᲐᲜ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲗ, ᲒᲐᲚᲐᲥᲣᲚᲐᲓ, ᲨᲔᲣᲨᲤᲝᲗᲔᲑᲔᲚᲐᲓ, ᲡᲐᲑᲣᲗᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲖᲔ ᲐᲬᲧᲝᲑᲡ, ᲒᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲨᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲔᲗᲧᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲰᲐᲖᲠᲨᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ:

ᲠᲝᲪᲐ ᲐᲛᲐᲜ ᲛᲝᲐᲒᲠᲝᲕᲐ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲗ ᲒᲐᲡᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲑᲣᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲢᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ Ნ. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲙᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ, ᲩᲥᲝᲢᲣᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲒᲠᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐᲚᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲔᲓᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ, ᲗᲘᲗᲥᲝ ᲣᲜᲓᲝᲓᲐᲗ ᲔᲗᲥᲕᲐᲗ:

— ᲡᲐᲥᲛᲔ ᲪᲣᲓᲐᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ!

ᲡᲐᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝᲗ, ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲐᲜᲣᲙᲔᲨᲐ ᲔᲡᲔᲜᲘ. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲣᲙᲔᲗᲐᲪ ᲨᲔᲣᲛᲦᲠᲘᲐᲜ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲓᲐᲚᲐᲚᲣᲚᲘᲐ, ᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲐᲚᲔᲚᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ.

— ᲥᲕᲐᲚᲨᲘ ᲩᲐᲣᲓᲒᲔᲑᲘ ᲛᲔ ᲣᲤ. ᲒᲐᲛᲐᲛᲢᲧᲣᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲑᲣᲗᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲑᲣᲗᲘᲗ ᲓᲐᲣᲠᲦᲕᲔᲕᲝ! ᲡᲗᲥᲕᲐ.

ᲡᲗᲥᲕᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲐᲐᲡᲠᲣᲚᲐ: ᲔᲠᲗᲡ ᲡᲐᲒᲐᲜᲖᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲡ, ᲐᲠ ᲐᲗᲐᲕᲔᲑᲡ, ᲐᲛᲑᲝᲑᲡ: ᲐᲛᲐᲖᲔ ᲑᲝᲚᲚᲐᲡ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲝ; ᲛᲔᲝᲠᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ, ᲐᲠᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲗᲐᲕᲔᲑᲡ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲑᲝᲚᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗᲝ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲖᲔᲓᲐᲪ ᲐᲡᲔ ᲓᲐ ᲡᲮ. ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲚᲝᲚᲘᲙᲐ ᲔᲙᲐᲠᲒᲔᲑᲐ, ᲖᲝᲒᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲒᲐᲜᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲛᲔᲢᲔᲑᲣᲚᲐᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲑᲯᲔᲜᲝᲓᲐ, ᲖᲝᲒᲐᲜ ᲙᲘ ᲬᲕᲠᲘᲛᲐᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲣᲓᲒᲐ...

ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲢᲘᲮᲐᲛᲘᲠᲝᲕᲡ, ᲣᲔᲭᲕᲔᲚᲘᲐ, ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲗᲥᲕᲐ-ᲠᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲪ ᲗᲥᲕᲐ, ᲙᲐᲠᲒᲐᲗ ᲗᲥᲕᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲩᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲡᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲤᲠᲗᲮᲝ, ᲙᲘᲓᲔᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲔᲢᲧᲝᲓᲐ.

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ-ᲝᲠᲯᲔᲚ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲘᲛᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲩᲘᲜᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲜᲘᲭᲘ. ᲣᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ ᲘᲛᲐᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲬᲐᲠᲡᲓᲒᲐ ᲬᲘᲜ, ᲐᲘᲛᲐᲦᲚᲐ ᲮᲛᲐ, ᲛᲝᲭᲙᲘᲓᲐ ᲮᲔᲚᲘ Ნ. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲙᲐᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲭᲢᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ:

— ᲣᲤᲐᲚᲜᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲜᲝ! ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲘᲗᲮᲠᲔᲡᲗ ᲐᲥ, ᲠᲝᲛ Ნ. ᲐᲜᲓᲠᲔᲔ ᲕᲔᲡᲙᲘᲡᲐ ᲛᲮᲜᲔ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲧᲝᲕᲝ! ᲨᲔᲮᲔᲓᲔᲗ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲛ ᲙᲝᲭᲢᲐᲡ! ᲜᲐᲮᲔᲗ ᲐᲙᲚᲘᲐ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲗᲣᲜᲓᲐᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲦᲘᲚᲘ? ᲒᲐᲮᲔᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲓᲛᲔ? ᲛᲮᲜᲔ ᲓᲐ ᲫᲚᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲡ, ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲡᲐᲦᲠᲩᲝᲑᲐᲗ ᲛᲘᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ? ᲒᲐᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲜᲔᲑᲔᲓᲔᲑᲐ? ᲓᲐ ᲗᲣ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲘᲧᲝ, ᲗᲣ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐ ᲒᲐᲣᲬᲘᲐ, ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ — ᲡᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ?! და სხვ.

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲣᲡᲢ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔᲓ ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲔᲡ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲛᲐ ᲑᲠᲐᲚ ᲓᲔᲑᲣᲚᲗ ᲓᲐᲪᲕᲐᲝ; ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ Ნ. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲡᲙᲘᲡᲐ ᲑᲐᲜᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲢ ᲙᲔᲐᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲣᲪᲐᲑᲔᲓᲐᲗ ᲓᲐᲘᲦᲠᲩᲕᲐᲝ, ᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐᲝ.

ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲕᲡᲗᲥᲕᲐᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲦᲠᲩᲕᲐ, ᲕᲡᲗᲥᲕᲐᲗ ᲡᲮᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲠᲩᲕᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲣᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲒᲕᲘᲛᲢᲛᲘᲪᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲥᲝᲢᲣᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲦᲠᲩᲕᲔᲡᲝ; ᲛᲝᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔᲗ ᲡᲐᲑᲣᲗᲘᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲐᲛᲙᲢᲘᲪᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲐᲛᲐᲗ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ; ᲒᲕᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲔᲕᲔ—ᲠᲐ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲔᲚᲝᲚᲝᲓᲜᲔᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲛ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲚᲘᲡᲒᲐᲜᲐᲝ! და სხვ.

ᲐᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲗᲥᲕᲐᲗ ᲐᲓᲕᲝᲙᲐᲢᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲝ, ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲐᲗᲘ ᲓᲐᲪᲕᲐᲝ.

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲛᲐ ᲛᲮᲐᲠᲔᲛ ᲝᲠ-ᲝᲠᲯᲔᲠ ᲗᲥᲕᲔᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ.

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ, ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲚᲔᲕᲘᲡ 3-ᲡᲐᲐᲗᲖᲔ, ᲒᲐᲗᲐ-

ედა პრენიები და მოსამართლეები განაჩენის დასადგენად შეეიდნენ ცალკე ოთახში.

აბა ახლა გახშირდა კითხვა;

— ბაამართლებენ, თუ გაამტყუნებენ?

რასაკვირველია, ნამდვილი არავინ არა იცოდა-რა. ექვს საათზე მოსამართლენი კიდევ არ იყვნენ თავიანთ ოთახიდამ გამოსულნი. ზოგიერთებს აქედამ ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ მოსამართლეებთ შორს, უეჭველია, უთანხმოება არის, ბაასი აქვთ, მაგრამ ეს დაგვიანება გამტყუენების ნიშანი არისო.

საზოგადოება რო ასე ღელავდა, რო ასე აღშფოთებული იყო და მოუთმენელად მოელოდა განაჩენის გაგონებას, ნეტა რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ ამ დროს ბრალდებულნი, რა გულის-ძგერა, რა ცეცხლი უნდა ყოფილიყო ამათ გულში, რომელთაც ბედი და უბედობა, ხორციელი და ზნეობითი სიკეთილი და სიცოცხლე ამ განაჩენზედ იყო დამოკიდებული?!

ბოლოს საღამოს შვიდის ნახევარზე დაარაწკუნეს ზარი და ხალხი შემოცვივდა ზალაში. შემოიყვანეს ბრალდებულნიც დი თავის სკამებზე დასვეს. თითქოს ცოტათი უფრო აღელვებულია დ. ჩქოტუა; მაგრამ მაინც არ ეტყობა, რომ იმას რისამე შიში აქვს; უცროსი ძმა კი ჩვეულებრივად მშვიდობიანად დაჯდა და მხნეთ უყურებს ყველას.

თითქის შვიდი სათი იყო, როცა კარები გაიღო და პრისტავმა წარმოსთქვა თავის სიტყვები „სამართალი მოდისო!“

შემოვიდა სამართალი. ერთი შეხედვითვე შეატყობს კაცი, რომ ამათ კეთილი ამბავი არ მაქვთ: ვერც ერთი ამათგანი პირ-და-პირ ვერ იყურება; გაყვითლებულები არიან; დასხდნენ კრესლოებზე და და თავი ჩაიღუნეს. . . .

სასამართლოს ზალაში, რომელშიაც ოთხასამდინ სულია, ისეთი მყუდროებაა, რომ ბუზის გაფრენას გაიგებთ... ხმა თავსმჯდომარისა, რომელსაც განაჩენის ფურცელი უჭირავს ხელში და ჰკითხულობს, ისე გაისმის ზალაში, თითქოს ეს ხმა სამარიდამ მოდისო . . .

პირველი სიტყვიდამვე ცხადად მოჩანს, რომ ამ ხმით წაკითხულს განაჩენს დაახლოებული კავშირი უნდა ჰქონდეს სამარესთან...

„— სასამართლო აღიარებს-რა დ. ჩქოტუას დამნაშავე იმაში, რომ...“

სხვა საჭირო აღარ არის. ყველას თავები ერთბაშათ დ. ჩქოტუასაკენ მობრუნდა...

ჩემ დღეში ამისთანა სახე, ამისთანა თვალები არ მინახავს... უეცრად, სანამ თვალს მოვასწრობდი, გაფითრდა კაცი, ტუჩები ისე გაუთეთრდა, როგორც ეს ქალალდია, რომელიც თქვენ ამ ჟამად გიჭირავთ ხელში; თავალები სრულებით გაუშტერდა, ერთს წერტილს შესჩერებიან, იმ ქალალდს, რომელიც თავსმჯდომარეს უჭირავს ხელში და რომელმანც გაუთხარა მას ორ გვარი სასარე; მთელი ადამიანი გარეტიანებულია, გაფითრებული, ასე გგონია გაქვავდაო...

საშინელი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო მაშინ იმის მდგომარეობა.. ქაცის ოცნება, რასაკვირველია, ჯერ წარმოიდგენს იმ ცეცხლს, იმ ჯოჯოხეთს, რომელიც უტრიალებდა მაშინ იმას გულში...

ნამდვილი მხეცი, სრულებით გულგაქვავებული, უგრძნობარი უნდა იყოს ის პირი, რომელმანც ტაში დაჰკრა სასამართლოს ამ გვარ განაჩენს... რაც უნდა სამართლიანი მოსჩვენებოდა იმას ეს განაჩენი, თუ იმან შეხედა ამ დროს დ. ჩქოტუას და მაინც ტაში დაჰკრა, უეჭველია იმას ადამიანის გული არ ჰქონია...

Сволочь

ქობულეთის ფაშები

რუსულ გაზეთის „Голосъ“ის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია უფ. ბ. ფერეთლის კორრესპონდენციახუც-უბნიდამ რომლიდამაც მოგვყავს შემდეგი საინტერესო ამბები ქობულეთის ფაშებზე თავდგირიძეებზე; ყველა ეს უამბია ავტორისათვის ჩვენკენ გადმოსულს ქობულეთელ მოლლას იზმაილ-ეფენდის;

„ალი-ფაშა, ოსმან-ფაშა, ჰუსსეინ-ბეგი და ჰასსან-ფაშა იყვნენ ძმები, გვარად თავდგირიძები; ამათი წინაპარი მაქსიმე თავდგირიძე ბურიელის ქვეშევრდომი იყო და ახალციხის ფაშას წაეყვანა ამანათად. სულთან სელიმმა (1782-1807) მიანდო მაქსიმელ-ფაშას ქობულეთის სანჯაყის ფაშობა (გამგეობა).

„ჰასსან-ფაშა, რომელიც ყირიმის ომის დროს (1855 წელს) მოჰკლეს ჩოლოქის ომში, მაქსიმელის შვილის (მეჰმედის) შვილი იყო; ბევრს ახსოვს ახლა, რომ ჰასსან-ფაშის თავი სპირტში ჩადვეს რუსებმა და ქუთაისში აჩვენებდნენ საქვეყნოთ...

„ჰასსან-ფაშის უცროსი ძმა ალი-ფაშა 1848 წელს გადმოვიდა ბურიაში, მივიდა თ. ბრიგოლ და ლევან ბურიელებთან და გამოუცხადა ამათ, რომ, თუ რუსები ჩემ მამულებს, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ წამართვა, დამიბრუნებენ და პენსიასაც დამინიშნავენო, ქობულეთის ხალხს ავაჯანყებ და ბურიას შეუერთებო(?).ხსენებულმ ბურიელებმა წარადგინეს ალი-ფაშა მაშინდელ ქუთაისის ღუბერნატორთან, რომელმანც ამ წინადადებაზე ხმაც არ ამოიღო ალი-ფაშასთან, აჩუქა იმას საჩოხე მაუდი და უკანვე გაისტუმრა...

„ამის შემდეგ ალი-ფაშა გადაგვემტერა ჩვენ და ისევ ოსმალეთის მთავრობას მიემხრო.

„ამ ომის ლაწყების დროს ოსმალეთის მთავრობამ მიანდო იმას ქობულეთში მილიციის მოკრება და ამ მილიციის წინამძღვრობა. ოსმალეთის მმართებლობამ დაურიგა ქობულეთელ მილიციონერებს ახალ სისტემის თოფები, დაუნიშნა თითოს თვეში 260 ყურუში (13 მან.) ჯამაგირი, ამას გარდა ფეხსაცმელი და საჭმელ-სასმელი. ალი-ფაშა ჯერ პატიოსნად ირჯებოდა, ყველას თავის ხვედრ ჯამაგირსა და სარჩოს ურიგებდა, მაგრამ ბოლოს გამოარჩია დაიწყო, ჯამაგირსა და საჭმელ-სასმელსაც უკლებდა მილიციონერებს; დერვიშ-ფაშამ შეიტყო ეს, სტაცა ხელი და სტამბოლში გაგზავნა.

„ამ გვარადვე მოიქცა იმის უცროსი ძმა ოსმან-ფაშა, რომელსაც დერვიშ-ფაშამ მიანდო ქობულეთის ჯარის უფროსობა, და ესეც სტამბოლში გაგზავნეს.

„ოსმან-ფაშის თავდგირიძის შემდეგ, ქობულეთის ჯარების წინამძღოლად დერვიშმა დანიშნა მურად-ბეგი, ჰასსან-ფაშის თავდგირიძის შვილი. და დღესაც ეს ითვლება ქობულთელების უფროსად. მაგრამ, რადგან ქობულეთისა და აჭარის მილიციას შუა მუდამ ერთმანეთში განხეთქილება არის და ერთმანეთის ჯიბრით ბრძოლის ველზე ხეირიანად არ იქცეოდნენ, ამის გამო დერვიშ-ფაშას ისინი თითქმის სრულიად არ გამოჰყავდა ქობულეთის ჯარი და იმათი სარდალი მურად-ფაშა ახლაც ბათუმში ცხოვრობს.“

სამართალი

ანდრეევსკის ქალის საქმე

(სხდომა მეშვიდე და უკანასკნელი)
5 მარტის

უკანაკნელი სხდომა თფილისის ოლქის სასამართლოსი ნინო ანდრეევსკის ქალის მკელელობის თაობაზე იყო გასულ კვირას. ამ დღეს ადვოკატებმა და პროკურორმა თითო სიტყვა კიდევ წარმოსთქვეს; უადგილობის გამო ჩვენ არ მოგვყავს ვერც ადვოკატების სიტყვები და ვერც პროკურორის მეორე სიტყვა. შემდეგ მოსამართლეებმა დაადგინეს კითხვები, რომელზედაც იმათ პასუხი უნდა გამოეტანათ და ცალკე ოთახში წაეიდნენ. საღამოს შვიდ საათზე გამოიტანეს შემდეგი

განაჩენი

„1878 წელს მარტის 5-ს თფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ, რომელიც შესდგებოდა: თავსმჯდომარის ელენინისაგან, წევრებისაგან: პოლტორაცკისა და ჩემისოვისაგან და პროკურორის ხალადოვკის თანდასწრებით, მოისმინა საქმე ნინო ანდრეევსკის ქალის მოკვლის თაობაზე და გადწყვიტა:

„რომ თ. დავით ზურაბის ძე ჩქოტუა (29 წლის) და გლეხი პეტრე ბაბისონია (27 წლის) დამნაშავენი არიან იმაში, რომ საღამოს 22 ივლისს 1876 წელს წინათვე განზრახულის ჰაზრით და დათანხმებით მოჰკლეს ნინო ანდრეევსკისა; რომ დავით ჩქოტუამ დათანხმა ამ საქმეში სხვები, და ამის გამო დავით ჩქოტუას ჩამოერთვას ყოველი ღირსება და გაიგზავნოს კატორღაში სამუშაოდ რუდნიკებში 20 (ოცი) წლის ვადით, პეტრე ბაბისონიას ჩამოერთვას აგრეთვე ყოველი ღირსება და გაიგზავნოს კატორღაში ციხეებში სამუ-

შაოდ ათი (10) წლის ვადით; ამ ვალის გასვლის შემდეგ დ. ჩქოტუა და პ. ბაბისონია დასახლებულნი უნდა იქმნენ სამუდამოთ Ѳიმბირში; ამათვე უნდა გადახდეს ამ საქმის სასამართლოს ხარჯი; ნიკო ჩხოტუას კი სასამართლო ამ საქმეში გამართლებულად აღიარებს. ეს განაჩენი, დ. ჩქოტუის თავადობის ჩამოართმევის შესახებ, არ იქნება სისრულეში მოყვანილი, ის წარედგინება დ. მ. კავკასიის ნამესტნიკს, რომელმანც მ. ი. უ. ხელმწიფე იმპერატორს უნდა წარუდგინოს.“

ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ფაეტონის		დროჟკის	
ერთი გზა	40	კაპ.	25	კაპ.
საათი	80	„	55	„
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80	„	50	„
— მუშტაიდამდინ —	60	„	45	„
— მუშტ. და უკან ½				
საათი გაჩერება 1 მან.	20	„	90	„
რკ. გზიდამ ნავთ.—2 „ —		„	1 მან.	50 „
—დამოქნამდინ— 1 „	50	„	1 „ —	„
—ქალაქ. ყველგან 1 „ —		„	— „	70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80	„	— „	50 „
— ნავთლუღიდამ 1 „	50	„	1 „ —	„
რკინის გზამდინ და				
უკან — — —1 „	30	„	— „	90 „

შენიშნვა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ეისმე.

შენიშნვა ბ). ნაშუალამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაეტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალეევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბთს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხუთშაბათს: ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათფმყოფი., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობის.

განცხადებანი

თესლები

ბოსტანისა და ყვავილებისა, ახლადმიღებული სამზღვარ გარეთიდამ ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კომისიონერთან ლარშესთან, ბოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 11.

(10—1)

ვისაც ჰსურს იყიდოს ხმელი საშენებელი ტუე, ფიქვისა და ნაძვის, ფიცრები, სამი და ოთხი წლის განახერხი, შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბუჭყიევის სადგომში, ერსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ რიგ-რიგზე შეუსრულებთ ყველას, ვინც შეგვიკვეთს. ფიცრების მოტანა ამ წლის 1 მაისიდამ დაიწყება

(3—1)

იყიდება
უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.
ეშმაკის ხარო
მდაბიური ამბავი
ალ. სა. მესხიევისა.
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
ფასი ერთი შაური

Желаютъ арендовать нѣсколько десятковъ десятинъ пахатной земли близъ Поти-Тифл. желѣзной дороги.
Адрессъ Куки: Реутовская улица № 39

(3—2)

სალამური.

ანუ ლექსთა კრება.
გამოცემული ზ. ჭიჭინაძესი.
ფასი ორი შაური.
თფილისში ე. ხელაძის. სტამბაში, და ქუთაისში, ი. მესხთან.

აბრაშუმის ჭიის თესლი (კვერცხი) იტალიის მოდგმისა, საღი ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).

ფასი თითო მისხლისა ექვსი შაური ერთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

სტუდენტს ჰსურს აძლიოს უროკები დაბალ კლასებში მოსამზადებელად.

ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდ. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	
და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 27 თებერ.		
ერთი ჯანეთი ლირს:		
ლონდონში 23 პენსი.		
პარიეში 271 სანტიმი.	—	78
ესკონტი(სარგებლისფასი)	—	62
ბანკის ბილეთი 5%	7½	—
მოგებიანი(პროცენტი)	96	50
მოგებიანი (მეორე სესხი)	228	75
	229	—
ბირაოს ფურცლები:		
ᲝᲐ ფილ. ხაზნ. ბანკისა.		—
ხერსონის ბანკი	83	25
მოსკოვის . .	83	50
ოქრო ½ იმპერიალი. .	7	52
აქციები.		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ.რკინ.გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემებმა	527	—
კავკაზის და მერკურიისა. .	225	—
პირვ. სახღვევ. სახ. ბ.	745	50
პეტერბ. სახღვევ. სახ.	235	50
მოსკოვის სახღვევ. . სახ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 4 მარტი.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	50
ფქვილი წითელი . .	1	35
ქერი ფუთი . . .	1	30
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	20
— ამერიკისა, ფუთი . .	7	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუ.	8	20
—თრაქამისა ფუ. .	4	40
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქობი, ფუთი. . . .	6	50
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	14	—
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა .	1	8
სპირტი, გრადუსი .	—	14
შაქარი, ბოლ. ფუთი .	7	70
—ფხვნილი ფუთი . .	6	30
ეავა გოგალი, ბირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	12	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	7	78

Дозволено цензурою Тифлисъ, 8 Марта 1878 г. Типографія Меликова. ბამოცემული ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს მესხი